2024 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

2024 წლის დასაწყისში, აკადემიის დირექტორის ბრძანებით, დამტკიცდა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, გაიწერა შესასრულებელი ამოცანები შესაბამისი პასუხისმგებელი, შემსრულებელი და სხვა ჩართული პირებით, აისახა რესურსები და ინდიკატორები. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შედგენისას ამოსავალი წერტილი იყო შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა, სადაც გაწერილია შვიდი წლის მანძილზე განსახორციელებული ამოცანები პასუხისმგებელი პირების შესაბამისად.

თეგეტა აკადემიისთვის 2024 წელი ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული იყო, რადგან დაწესებულებამ დასახა განვითარების ახალი გზები და ამასთან ერთად განახორციელა გეგმით გაწერილი ამოცანები. წარმოგიდგენთ ამოცანების შესრულების პროცენტულ მაჩვენებელს:

2024 წლის სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანა	**შესრულების მაჩვენებელი პროცენტებში**	**შეუსრულებლობის მიზეზი/ კომენტარი**
1. 1. თეგეტა აკადემიის საქმიანობის მხარდამჭერი სამართლებრივი ბაზის შექმნა და განვითარება	95%	
1.2. საქმისწარმოების პროცესის მუდმივი განვითარება	95%	
1. 3. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება	95%	
1. 4. IT მხარდაჭერის სისტემის განვითარება	100%	
1.6. მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება	99%	
2.1. ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული საგანამანთლებლო პროგრამების განხორციელება	100%	
2.2. პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება	100%	
2.3. სასწავლო პროცესის მართვა და ადმინისტრირება	100%	
2.4. პროგრამის შეფასება და მონიტორინგი	90%	წლის დასაწყისში პრობლემა დაფიქსირდა ზოგიერთი სტუდენტის დასწრებასთან დაკავშირებით, ერთი პროგრამის ფარგლებში
2.5. არაფორმალური განათლების აღიარება	-	არ დაფიქსირებულა მომართვიანობა, შესაბამისად არ გაიცა/აიტვირთა დოკუმენტი
3.1. ინფრასტუქტურის განახლება, შეკეთება, გაუმჯობესება	100%	

3.2. ჯანმრთელობის, წესრიგისა და შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა	90%	საჭროა დამატებით გადამზადდნენ მსმენელები
4.1. პროფესიულ მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა განვითარება	90%	არ ჩატარებულა შიდა ტრენინგი (კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება) ინსტრუქტორებისთვის, ვინაიდან, დასრულებულია პროგრამა თბილისში (ჩატარდა 2023 წელს, სასწავლო პროცესის შესაბამისად, ხოლო ბათუმში დაიგეგმება 2025 წელს)
4.2. პერსონალის განვითარება, შრომის, ადეკვატური სამუშაო გარემოსა და სახელფასო სამოტივაციო სისტემის შექმნა	95%	
4.3. პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა	95%	საჭიროა დამატებით დაიგეგმოს კურიკულუმს მიღმა ღონისძიებები
5.1. თვითშეფასების, რეავტორიზაციის პროცესის უზრუნველყოფა	100%	
5.2. განათლების საინფორმაციო სისტემასთან ინტეგრირების უზრუნველყოფა	100%	
5.3. კერძო კოლეჯების ასოციაციასთან და პარტნიორ კოლეჯებთან თანამშრომლობა	95%	
5.4. პროფესიული უნარების სააგენტოსთან თანამშრომლობა	100%	
5.5. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან მუდმივი კონტაქტი და თანამშრომლობა	95%	
5.6. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან თანამშრომლობა	-	ძირითადი ნაწილი გადავადდა 2025 წელს
5.7. საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობა	100%	
6.1. თეგეტა ჰოლდინგთან თანამშრომლობა	90%	არ ყოფილა არაფორმალური განათლების აღიარების შემთხვევა
6.2. შპს "ტრანსფორდთან" თანამშრომლობა	100%	
6.3. ინფრასტრუქტურის მშენებელთა ასოციაციასთან თანამშრომლობა	95%	
7.1. სპეცტექნიკის ოპერატორების მომზადება/გადამზადების პროგრამები (შემუშავება და განხორციელება)	100%	
7.2. ონლაინ სასწავლო პლატფორმა - Electude	100%	

7.3. მომზადება/გადამზადების პროგრამების განხორციელება ბათუმსა და ფოთში	100%	
7.4. ფინანსური მდგრადობა	90%	

ზემოთ აღნიშნული მაჩვენებლებიდან ირკვევა, რომ აკადემიამ ძირითადად განახორციელდა სამოქმედო გეგმით გაწერილი ამოცანები, თუმცა მათ შორის უნდა გამოიკვეთოს ის მსხვილი საქმიანობები, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული აღმოჩნდა დაწესებულებისთვის.

2024, თეგეტა აკადემიაში, მეტად მნიშვნელოვანი და ამავდროულად დატვირთული წელი იყო, ვინაიდან დაწესებულებამ დაიწყო განვითარება ახალი მიმართულებებით, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში. კერძოდ, მოიპოვა პროფესიული მომზადება/გადამზადების 20 ახალი პროგრამის განხორციელების უფლება სამი წლის ვადით და დაიმატა ორი ახალი ლოკაცია ბათუმსა და ფოთში.

შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება:

თბილისი

პროფესიული მომზადება/გადამზადების 6 ახალი პროგრამა:

1. ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი (მომზადება);
2. ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი (გადამზადება);
3. ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი (მომზადება);
4. ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი (გადამზადება);
5. ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი (მომზადება);
6. ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი (გადამზადება).



ბათუმი

პროფესიული მომზადება 6 ახალი პროგრამა:

1. მსუბუქი ავტომობილების პროდუქტების გაყიდვების კონსულტანტი;
2. მსუბუქი ავტომობილის კომპიუტერული დიაგნოსტიკა;
3. მსუბუქი ელექტრო და ჰიბრიდული ავტომობილის ელ. დიაგნოსტიკოსი;
4. სატვირთო ავტომობილის ელექტრო და პნევმატური სისტემების შეკეთება;
5. სპეციალური დანიშნულების ტექნიკის დიაგნოსტიკა და შეკეთება;
6. სატვირთო ავტომობილის პროდუქტების გაყიდვების კონსულტანტი.

ფოთი

პროფესიული მომზადება 8 ახალი პროგრამა:

1. ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი (მომზადება);
2. ერთციცხვიანი ექსკავატორის ოპერატორი (გადამზადება);
3. ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი (გადამზადება);
4. ექსკავატორ-დამტვირთველის და ფრონტალური დამტვირთველის ოპერატორი (მომზადება);
5. საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი (მომზადება);
6. საკონტეინერო და ჩანგლიანი დამტვირთველის ოპერატორი (გადამზადება);
7. პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორის მომზადების პროგრამა (მომზადება);
8. პორტალური და ჯოჯგინა ამწის ოპერატორის გადამზადების პროგრამა (გადამზადება).

2024 წელი აკადემიაში იყო როგორც ახალი მიმართულებით პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების, ისე რეავტორიზაციის წელი. შესაბამისად, ამისთვის მომზადდა თვითშეფასების ვრცელი ანგარიში და თანდართულ მტკიცებულებებთან ერთად გაიგზავნა ცენტრში განსახილველად. განაცხადი უხარვეზოდ იქნა მიღებული. განაცხადის საფუძველზე 22-24 ოქტომბერს განხორციელდა საავტორიზაციო შეფასება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რის შედეგადაც ექსპერტების მხრიდან გაიცა დადებითი დასკვნა და აკადემია შეფასდა ავტორიზაციის ყველა სტანდარტთან მიმართებაში სრული შესაბამისობით. შედეგად, სსიპ - ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით თეგეტა აკადემიამ მოიპოვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დამატებით 6 წლის ვადით, შესაბამისად, მიენიჭა უფლებამოსილება კვლავ განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ყოველივე აღნიშნულის პარალელურად აქტიური სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა ორ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წარმატებით დასრულდა სექტემბრის თვეში. გარდა ამისა, დაწესებულებაში ხორციელდებოდა სხვა დამატებითი პროცესები, რამაც უზრუნველყო ანგარიშში მოცემული შედეგების შესაბამის პროცენტულ ნიშნულამდე აყვანა.

ზემოაღნიშნული მოცემულობა მოწმობს, რომ თეგეტა აკადემია წარმატებით ახორციელებს წინასწარ გაწერილი ვალდებულებების შესრულებას დადგენილ ვადაში.